



TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტის სხდომის
ოქმი № 18 / 2017

თბილისი

25 დეკემბერი 2017 წ.

სხდომის დაწყების დრო: 15.00

სხდომის დასრულების დრო: 15.30

სხდომას ესწრებოდნენ:

- | | |
|--------------------------------|-----------------------------------|
| 1. პროფ. კახი ყურაშვილი; | 8. ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე; |
| 2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი; | 9. უფრ. მასწ. ლალი ფაფიაშვილი; |
| 3. პროფ. არჩილ ლორია; | 10. უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე; |
| 4. პროფ. ლელა ნადიბაიძე; | 11. უფრ. მასწ. მაია კოპალეიშვილი; |
| 5. პროფ. მაკა სალხინაშვილი; | 12. უფრ. მასწ. შალვა ქურდაძე; |
| 6. პროფ. თამარ ლალიაშვილი; | 13. სტუდენტი გიორგი ჩინჩალაძე |
| 7. ასოც. პროფ. დავით გეფერიძე; | 14. სტუდენტი იაგო შაკაია |

აგრეთვე,

ბუღალტერი: ეკატერინე გიგოლაშვილი.

ქვორუმი: 11

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ე. ირემაძე

დღის წესრიგი:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეების ელნურ სამადოვისა და ზულფუგარ გურბანოვის სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის თაობაზე (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი);
2. სამართლის ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემუშავების თაობაზე (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი).

1. მოისმინეს:

სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 19 ოქტომბრის № 912 და 2017 წლის 01 დეკემბრის № 1054 ბრძანებებისა საფუძველზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით თჰუ სამართლის ფაკულტეტზე სწავლის უფლება მიეცა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ორ მოქალაქეს:

ა) ელნურ სამადოვს (პასპორტი AZE15905438), რომელმაც 2017 წელს დაამთვრა ქ. ბაქოს №87 სრული საშუალო სკოლა (ატესტატი A №013798):

ბ) ზულფუგარ გურბანოვს (პასპორტი C 00833953), რომელმაც 2017 წელს დაამთვრა არბანის რაიონის ირმაზოიადის ს.მუსაევის სახელობის სრული საშუალო სკოლა (ატესტატი A №081709).

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პირადი განცხადებების საფუძველზე მიზამშეწინილია ისინი ჩაირიცხონ თჰუ სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე, თუ ჩააბარებენ სწავლების ენაში გამოცდას ან სხვაგვარად დაადასტურებენ სწავლების ენის ფლობას.

აზრი გამოთქვა: პროფ. ლ.ნადიბაიძემ

კრწისყრის შედეგები: დაეთანხმა 10 წევრი, წინააღმდეგია 4 - კ. ყურაშვილი, თ. ჩიტოშვილი, ნ. ნიჟარაძე, ი. შაკაია.

გადაწყვიტეს:

1. ჩაირიცხოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ელნურ სამადოვ (პასპორტი AZE15905438) სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტად 0 კრედიტის აღიარებით და სწავლების ენის ფლობის წინასწარი დადასტურების პირობით;
2. ჩაირიცხოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ზულფუგარ გურბანოვ (პასპორტი C 00833953) სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტად 0 კრედიტის აღიარებით და სწავლების ენის ფლობის წინასწარი დადასტურების პირობით;
3. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
4. ელნურ სამადოვს და ზულფუგარ გურბანოვს გაუფორმდეთ საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებები ბრძანების გამოცემიდან 7 დღის ვადაში, ხოლო სასწავლო პროცესში ჩაებან 2017-2018 წლის საგაზაფხულო სემესტრიდან.
5. უზრუნველყოს თჰუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა ამ სტუდენტების ჩარიცხვის შემდეგ სწავლების ენაში მათი გამოცდის ორგანიზება საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში; სტუდენტს რომელიც გამოცდის ვერ ჩაბარების, შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი 1 სემესტრის მანძილზე, სწავლების ენის ინტენსიური კურსის (60 კრედიტიანი) გავლის შესაძლებლობის მიცემის მიზნით;
6. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე;

2. მოისმინეს:

დღის წესრიგთან დაკავშირებით თჰუ სამართლის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის კახი ყურაშვილის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ავტორიზაციის დებულების მე-7 სტანდარტის 7.2 ქვესტანდარტის და აკრედიტაციის მე-4 სტანდარტის 4.4 ქვესტანდარტის თანახმად, უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს - ფაკულტეტს მოეთხოვება ფაკულტეტის/საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის ეკონომიკურად მიღწევადი ბიუჯეტის არსებობა. შესაბამისად, სასწავლო

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ბუღალტერის და ფაკულტეტის პერსონალთან ერთად მოხდა ბიუჯეტის შემუშავება, გათვალისწინებულ იქნა ფაკულტეტის შემოსავლები, ხარჯები, სტუდენტთა რაოდენობა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და სხვ. მაჩვენებლები. ფაკულტეტის ბიუჯეტის წარმოდგენილი ვარიანტის მოწონების შეთხვევაში ის უნდა გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად და უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახვისათვის (იხ. დანართი 1). მომხსენებელმა კენჭისყრაზე დააყენა სამართლის ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თ. ჩიტოშვილი და პროფ. ა. ლორიამ, ბუღალტერმა ეკა გიგოლაშვილმა.

კენჭისყრის შედეგი: ყველა ერთხმად დაეთანხმა

გადაწყვიტეს:

მოწონებულ იქნას და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს(სენატს) თჰუ სამართლის ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტი დანართი N1-ის სახით.

თავმჯდომარე :

კ. ყურაშვილი

მდივანი:

ე. ირემაძე

